ძირითადი საშუალებები აღრიცხულია ისტორიული ღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად დარიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითადი საშუალების კაპიტალური რემონტის ხარჯის აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ „კომპანია“ შედეგად მიიღებს თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და თუ შესაძლებელია მისი ხარჯის სარწმუნოდ შეფასება. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

ცვეთა

ცვეთის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას.

სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაა:

შენობა-ნაგებობები	20 წლამდე
მანქანები და მოწყობილობები	5 წლამდე
საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი	5 წლამდე
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	5 წლამდე
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	10 წლამდე

აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება შემოსავალში ან ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით.

შეზღუდული სარგებლობის ვადის მქონე არამატერიალური აქტივებს ცვეთა ერიცხებათ წრფივი მეთოდით მომსახურების პერიოდის გათვალისწინებით.

განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე აქტივებს ამორტიზაცია არ ერიცხება. ყოველწლიურად და ყოველთვის, როცა არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ასეთი არამატერიალური აქტივი შესაძლოა გაუფასურებული იყოს, ხდება მისი ღირებულების შეფასება და გაუფასურების გამოვლენის შემთხვევაში აღირიცხება როგორც გაუფასურების ზარალი.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგის თვითღირებულება მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, დამუშავების ხარჯს, სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულების მიახლოებითი ხარჯებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით. საქმიანობის სფეროდან გამომდინარე, კომპანიას გასაყიდად გამიზნული მარაგები არ გააჩნია.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტები FVTPL (რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში) თავდაპირველად აღრიცხულია რეალური ღირებულებით. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით, რომელიც კორექტირებულია ტრანზაქციულ ხარჯებზე. თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. თავდაპირველი აღიარებისას, მოგება ან ზარალი აღიარდება მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის, რაც შეიძლება დადასტურდეს იმავე ინსტრუმენტში სხვა მიმდინარე საბაზრო ოპერაციებით ან შეფასების მეთოდით, რომელიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებას დაქვემდებარებულ საბაზრო მონაცემებს.

კომპანიამ 2024 წლის დეკემბრის მდგომარეობის კომპანია შეძენილი აქვს შემდეგი ობლიგაციები:

შპს თეგეტა მოტორს-ის მიერ გამოშვებული ობლიგაციები 6.75%-იანი განაკვეთით ღირებულებით 1 000 000 EUR.

შპს თეგეტა მოტორს-ის მიერ გამოშვებული ობლიგაციები 7%-იანი განაკვეთით ღირებულებით 309 000 EUR.

შპს სილკ რეალ ისთეით-ის მიერ გამოშვებული ობლიგაციები 7%-იანი განაკვეთით ღირებულებით 700 000 EUR.

შპს თეგეტა მოტორს-ის მიერ გამოშვებული ობლიგაციები 13.5%-იანი განაკვეთით ღირებულებით 1 800 000 ლარი.

აღიარების შეწყვეტა

კომპანია“ წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი სახსრების ნაკადების მიღებაზე ან როდესაც გადასცემს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებას ფინანსური აქტივიდან ფულადი სახსრების მიღებაზე ისეთი გარიგების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც ამ ფინანსური აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკისა და სარგებელის გადაცემა ხდება. ნებისმიერი მონაწილეობა გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც „კომპანიამ“ შექმნა ან შეინარჩუნა აღიარებული უნდა იყოს ცალკე აქტივის ან ვალდებულების სახით.

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც შემდგომ შეფასებული ამორტიზირებული ღირებულებით, გარდა (i) ფინანსური ვალდებულებებისა, რომლებიც შეფასებულია FVTPL-ით (რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში): ეს კლასიფიკაცია ვრცელდება წარმოებულ ინსტრუმენტებზე, სავაჭროდ ფლობილ ფინანსურ ვალდებულებებზე (მაგალითად მოკლე პოზიცია ფასიან ქალაქებში), პირობით ანაზღაურებაზე, რომელიც აღიარებულია შემდგომი მიერ ბიზნესის გაერთიანებაში და სხვა ფინანსურ ვალდებულებებზე, რომლებიც განსაზღვრულია ამ სახით თავდაპირველი აღიარებისას; და (ii) ფინანსური გარანტიის კონტრაქტებისა და სასესხო ვალდებულებებისა.

აღიარების შეწყვეტა

„კომპანია“ ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში.

როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, არსებითად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება მიჩნეულ უნდა იქნეს საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება მოგებაში ან ზარალში.

სამართლიანი ღირებულებით შეფასება

სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომლის მიღება შესაძლებელია აქტივის გაყიდვის შემთხვევაში ან რომელიც გადახდილი უნდა იყოს ვალდებულების გადაცემის შემთხვევაში ჩვეულებრივი გარიგების დროს ბაზრის მონაწილეთა შორის, შეფასების თარიღის მდგომარეობით. სამართლიანი ღირებულების შეფასება ეფუძნება ვარაუდს, რომ აქტივის გაყიდვასთან ან ვალდებულებების გადაცემასთან დაკავშირებულ გარიგებას ადგილი აქვს:

► აქტივის ან ვალდებულების ძირითად ბაზარზე; ან

► ძირითადი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისათვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

როგორც ძირითადი, ისე ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი ხელმისაწვდომი უნდა იყოს „კომპანიისათვის“. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები

სესხებთან დაკავშირებული ყველა სხვა ხარჯი უნდა აისახოს მათი გაწევის პერიოდში.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები შედგება პროცენტისგან და სხვა დანახარჯებისგან, რომლებსაც „კომპანია“ გაიღებს სესხის მისაღებად. „კომპანიას“ 2024 წლის მდგომარეობით არ გააჩნია სასესხო ვალდებულებები და შესაბამისად სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები.

გადასახადები

მოგების მიმდინარე გადასახადი

ზოგადად, მოგების მიმდინარე საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოადგენს საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელ ან მათ მიერ დასაბრუნებელ თანხას. ამ თანხის გამოსათვლელად გამოიყენება ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი საგადასახადო განაკვეთები და კანონები. 2017 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედებული ე.წ. „ესტონური“ მოდელის შესაბამისად მოგების მიმდინარე გადასახადის გადახდის ვალდებულება „კომპანიას“ არ გააჩნია და იგი დაბეგვრას ახორციელებს კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების გარდა:

► თუ აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, რა შემთხვევაშიც დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.

► დებიტორული და კრედიტორული დავალიანება, რომელიც მოიცავს დამატებული

ღირებულების გადასახადს.

„კომპანიის“ მიერ მისი დამკვეთისათვის გაწეული მომსახურება განთვითქმეულია დღგ-ისაგან ჩათვლის უფლებით, სსკ-ის მუხლი 162.1, მუხლი 172 - ის შესაბამისად. რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანიას მომსახურების მიწოდებისას არ ქვს ვალდებულება დღგ-ის გადახდის, ხოლო ამ მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებულ ხარჯებზე შეუძლია დაიბრუნოს ბიუჯეტიდან დღგ.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის აქტივის ან ვალდებულების წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების „საგადასახადო ვალდებულების“ მუხლში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულის ნაშთებს საბანკო ანგარიშებზე. კომპანია ანგარიშსწორების ნაღდ ფორმას არ იყენებს.

შემოსავლები

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოდინება „კომპანიაში“, ამასთან შემოსავლების შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავლების შეფასება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით ხორციელდება გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით და გადასახადების ან მოსაკრებლების გამოკლებით.

მომსახურების გაწევა

მომსახურების გაწევის აღიარება ხდება მისი კონტრაგენტისათვის მიწოდებისთანავე, რაც ფიქსირდება შესაბამისი ინვოისით. ვინაიდან „კომპანიის“ დამკვეთი არ წარმოადგენს რეზიდენტ საწარმოს, მომსახურების მიწოდებაზე საგადასახადო დოკუმენტის გამოწერა არ ხდება.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ და გრძელვადიანად

„კომპანია“ აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მიმდინარედ და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მიმდინარეა, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის ვადაში; ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა სხვა აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მიმდინარეა, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ნორმალურ სამუშაო რეჟიმში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;

- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- არ არსებობს ვალდებულების დაფარვის ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას „კომპანია“ გრძელვადიან კატეგორიას მიაკუთვნებს.

ახალი და გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება

შემდეგი ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები შევიდა ძალაში 2024 წლის 1 იანვრიდან:

- შესწორებები ფასს 16-ში: იჯარა: იჯარის ვალდებულება გაყიდვასა და უკუიჯარაში (გამოცემულია 2022 წლის 22 სექტემბერს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ბასს 1-ის შესწორებები: ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიკაცია(თავდაპირველად გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს და შემდგომში შესწორებულია 2020 წლის 15 ივლისს და 2022 წლის 31 ოქტომბერს, საბოლოოდ ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ).
- ბასს 7-ის „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ და ფასს 7-ის „ფინანსური ინსტრუმენტები:განმარტებითი შენიშვნები“ შესწორებები: მიმწოდებლის საფინანსო შეთანხმებები (გამოცემულია 2023 წლის 25 მაისს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- შესწორებები ბასს 21-ში, ვალუტის გაცვლის შესაძლებლობის ნაკლებობა (გამოცემულია 2023 წლის 15 აგვისტოს და ძალაშია 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

აღნიშნული სტანდარტების ცვლილებას არ ჰქონია მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების რეზერვი

დებიტორული დავალიანების რეზერვი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ დებიტორი ვერ აკმაყოფილებს გადახდის ვალდებულებებს, რასაც უმეტეს შემთხვევაში საფუძვლად უდევს აღნიშნული მომხმარებლის ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანების არსებობა.

კომპანიაში დებიტორული დავალიანების რეზერვი არ იქმნება, ვინაიდან არ არსებობს ვარაუდი იმისა, რომ დებიტორული დავალიანების მიღება ვერ მოხდება.

კომპანიის მხრიდან მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დებიტორული დავალიანების ვადიანობის საკითხი განხილულ იქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ, რა დროსაც მოხდა სხვადასხვა ხელშეკრულებების შესწავლა და დადგინდა, რომ დებიტორული დავალიანების არსებობა განპირობებულია საქმიანობის სპეციფიკით და **ამ მხრივ რაიმე საგადასახადო რისკი არ იკვეთება**. ამას მოწმობს „კომპანიის“ მხრიდან ჩვენთვის მოწოდებული შემოსავლების სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

შპს სიემიქს სოლუშენს-ის 2024 წლის ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1 ძირითადი საშუალებები

2024 წლის განმავლობაში, „კომპანიის“ ძირითად საშუალებებად რიცხული აქტივების მოძრაობა მოცემულია ცხრილში:

	ელექტრონული მოწყობილობა და კომპიუტერები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
ღირებულება 31 დეკემბერი 2022	405803	51126	25858	482786
შესყიდვა	201141	85560	43233	329934
ჩამოწერა	(10793)			(10793)
ღირებულება 31 დეკემბერი 2023	596151	136686	69091	801927
შესყიდვა	79073	6941	0	86014
ჩამოწერა	(109753)			(109753)
ღირებულება 31 დეკემბერი 2024	565471	143627	69091	778188
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2022	(167890)	(47647)	(18082)	(233620)
ცვეთის ხარჯი	(85722)	(16743)	(9777)	(112242)
ჩამოწერილის ცვეთის განულება	10793			10793
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2023	(242819)	(64390)	(27859)	(335069)
ცვეთის ხარჯი	(102852)	(18664)	(10328)	(131844)
ჩამოწერილის ცვეთის განულება	83646			83646
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2024	(262025)	(83054)	(38187)	(383267)
31 დეკემბერი 2022	237,912	3,479	7,776	249,167
31 დეკემბერი 2023	353,331	72,296	41,232	466,859
31 დეკემბერი 2024	303,445	60,573	30,904	394,922

2. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო მოთხოვნები	3,101,158	7,457,027
სულ სავაჭრო მოთხოვნები	3,101,158	7,457,027

3. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	866,625	981,615
ფული სადეპოზიტო ანგარიშებზე	6,641,815	5,185,900
სულ ფული და ფულის ექვივალენტი	7,508,441	6,167,515

მიმდინარე ანგარიშები განთავსებულია სს საქართველოს ბანკში

შპს სიემიქს სოლუშენს-ის 2024 წლის ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

4. სასაქონლო, მომსახურებისა და სხვა კრედიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო ვალდებულებები	33,381	322,296
სულ სავაჭრო ვალდებულებები	33,381	322,296

5. შემოსავლები

	2024 წელი	2023 წელი
მომსახურება 0%-იანი დღგ-ით (გერმანიაში გაწეული)	7,314,999	12,946,802
სულ შემოსავალი	7,314,999	12,946,802

6. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

	2024 წელი	2023 წელი
მივლინების ხარჯი	32,099	14,707
სამეურნეო ხარჯი	43,677	43,310
საპენსიო შენატანის ხარჯის ანგარიში	107,365	99,781
კომუნალურის ხარჯი	40,867	39,981
ტაქსის ხარჯი	8,542	7,367
კომპიუტერის ხარჯი	19,184	21,574
საკანცელარიო ხარჯი	1,410	1,607
კომუნიკაციის ხარჯები	35,503	33,901
ვებ გვერდით მომსახურების ხარჯი	2,840	9,693
რეკლამის ხარჯი	56,104	63,950
საფოსტო ხარჯი	121	103
საოფისე ხარჯი	15,100	12,359
მონაცემთა დამუშავებისა და სისტემური უზრუნველყოფის მომსახურება	-	4,760,892
საბუღალტრო მომსახურება	28,800	28,800
იურიდიული მომსახურება	9,600	9,692
აუდიტორული და სხვა საკონსულტაციო ხარჯი	37,019	117,859
საგადასახადო ხარჯი	4,309	3,580
ბანკის ხარჯი	5,721	15,634
წარმომადგენლობითი ხარჯი	12,560	19,486
სხვა საერთო ხარჯი	16,617	25,518
სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	477,438	5,329,793

შპს სიემიქს სოლუშენს-ის 2024 წლის ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

7. ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კრედიტზე სამომავლო ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება ცვალებადი იქნება სავალუტო კურსის მერყეობის გამო. კომპანიის ძირითადი სავალუტო რისკები დგება იმ ფაქტის გამო, რომ კომპანიას რეალიზაციას ახდენს უცხოურ ვალუტაში და, ამასთან, ოპერირებისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის ნაწილს ყიდულობს არარეზიდენტი კომპანიებისგან.

დეკემბერი 31, 2024	აშშ დოლარი	ევრო
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	-	2,266,367
მოკლევადიანი მოთხოვნები	-	336,531
მისაღები პროცენტები		22,796
ფინანსური ინსტრუმენტები(ობლიგაციები)	-	2,009,000
მოკლევადიანი ვალდებულებები	-	-
ნეტო პოზიცია		4,634,694
დეკემბერი 31, 2023	აშშ დოლარი	ევრო
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	-	278,085
მოკლევადიანი მოთხოვნები	-	2,506,311
ფინანსური ინსტრუმენტები(ობლიგაციები)	-	1,309,000
მოკლევადიანი ვალდებულებები	-	(87,413)
ნეტო პოზიცია	-	4,005,983

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის. კომპანიის დასაბეგრი მოგების მგრძნობელობა სავალუტო კურსების სავარაუდო მერყეობის მიმართ, როცა ყველა დანარჩენი ცვლადი მუდმივია (ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ცვლილებების გამო):

31 დეკემბერი 2023	სავალუტო კურსის ცვლილება	ეფექტი დასაბეგრ მოგებაზე
ევრო	+/-20%	-/+2,716,487
31 დეკემბერი 2024	სავალუტო კურსის ცვლილება	ეფექტი დასაბეგრ მოგებაზე
ევრო	+/-20%	-/+2,383,800

შპს სიემიქს სოლუშენს-ის 2024 წლის ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

საკრედიტო რისკი

კომპანია იღებს პასუხისმგებლობას საკრედიტო რისკზე, რომელიც წარმოადგენს ისეთ რისკს, რომლის ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე, ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, აყენებს ფინანსურ ზიანს მეორე მხარეს. საკრედიტო რისკის ზემოქმედება წარმოიშობა კომპანიის მიერ მომსახურების საკრედიტო პირობებით გაყიდვისას. კომპანიის საკრედიტო რისკის მოცულობას წარმოადგენს დებიტორული ანგარიშების, ასევე ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების საერთო ნაშთს 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

საბაზრო რისკი

კომპანია იღებს პასუხისმგებლობას საბაზრო რისკზე. საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან შემდეგ შემთხვევებში: (ა) უცხოური ვალუტა; (ბ) პროცენტის მატარებელი აქციები და ვალდებულებები და (გ) კაპიტალის პროდუქტები, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და კონკრეტულ საბაზრო მოძრაობებს. მენეჯმენტი განსაზღვრავს რისკების ღირებულებას, რომელთა დაკვირვება ყოველდღიურად ხდება. ამასთან, ამ მიდგომის გამოყენება არ ახდენს საზღვრებს მიღმა ზარალის დადგომის პრევენციას, უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო მოძრაობის შემთხვევაში.

ქვემოთ მოყვანილი საბაზრო რისკების მიმართ მგრძნობელობა ემყარება ფაქტორის ცვლილებას, რა დროსაც მუდმივად ინარჩუნებს ყველა სხვა ფაქტორს. პრაქტიკაში, ეს ნაკლებად სავარაუდოა, რომ მოხდეს და ზოგიერთ ფაქტორში შეიძლება შევიდეს ცვლილებები - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებები.

საპროცენტო რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის ისეთი რისკი, რომელიც იცვლება მცურავ საპროცენტო განაკვეთებში და უარყოფითად მოქმედებს კომპანიის ფინანსურ შედეგებზე. კომპანია არ იყენებს რაიმე წარმოებულს საპროცენტო განაკვეთის მართვის მიზნით, ამავდროულად, კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეული წილი განისაზღვრება ფიქსირებული განაკვეთებით და, შესაბამისად, რისკი მცირდება.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, როდესაც საწარმო განიცდის სირთულეებს საფინანსო ვალდებულებების შესრულების დროს. კომპანია დაუცველია ყოველდღიური ზარებისაგან მის ნაღდ რესურსებთან დაკავშირებით. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიურ მოძრავ პროგნოზს.

კომპანია ცდილობს შეინარჩუნოს სტაბილური დაფინანსების ბაზა, პირველ რიგში, სესხებისაგან. კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტების რაოდენობას. მენეჯმენტის შეფასებით, ფულადი სახსრებისა და საბანკო დეპოზიტების პორტფელის ლიკვიდურობა, გარდა შეზღუდული ფულადი სახსრებისა, შეიძლება განხორციელდეს ნაღდი ანგარიშსწორებით, ერთი დღის განმავლობაში, გაუთვალისწინებელი მოთხოვნების ლიკვიდაციის მიზნით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია აქტივები და ვალდებულებები რეპორტირების თარიღის მდგომარეობით, დარჩენილი სახელშეკრულებო ვადის შესაბამისად.

შპს სიემიქს სოლუშენს-ის 2024 წლის ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

31 დეკემბერი 2024	მოთხოვნა 6 თვეზე ნაკლები დროით	6 თვიდან 1 წლამდე	1 წელზე მეტი	სულ
აქტივი				
ფული და ფულის ექვივალენტები	7,508,441	-	-	7,508,441
სავაჭრო მოთხოვნები	3,101,158	-	-	3,101,158
ფინანსური ინსტრუმენტები(ობლიგაციები)	-	2,051,420	5,636,155	7,687,575
მისაღები პროცენტები	167,334	-	-	167,334
მთლიანი აქტივები	10,776,934	2,051,420	5,636,155	18,464,509
ვალდებულებები				
სხვა ფინანსური ვალდებულებები				
მოკლევადიანი ვალდებულებები	33,381	-	-	33,381
საგადასახადო ვალდებულებები	23,485	-	-	23,485
გადასახდელი ხელფასები	31,321	-	-	31,321
მთლიანი ვალდებულებები	88,187	-	-	88,187
მთლიანი ლიკვიდურობა	10,688,747	2,051,420	5,636,155	18,376,322

31 დეკემბერი 2023	მოთხოვნა 6 თვეზე ნაკლები დროით	6 თვიდან 1 წლამდე	1 წელზე მეტი	სულ
აქტივი				
ფული და ფულის ექვივალენტები	6,167,515	-	-	6,167,515
სავაჭრო მოთხოვნები	4,379,254	3,077,773	-	7,457,027
ფინანსური ინსტრუმენტები(ობლიგაციები)	-	-	3,881,021	3,881,021
მისაღები პროცენტები	-	-	-	-
მთლიანი აქტივები	10,546,769	3,077,773	3,881,021	17,505,563
ვალდებულებები				
სხვა ფინანსური ვალდებულებები				
მოკლევადიანი ვალდებულებები	322,296	-	-	322,296
საგადასახადო ვალდებულებები	8,273	-	-	8,273
გადასახდელი ხელფასები	71,572	-	-	71,572
მთლიანი ვალდებულებები	402,142	-	-	402,142
მთლიანი ლიკვიდურობა	10,144,627	3,077,773	3,881,021	17,103,421

დაფარვის ვადის ცხრილში ასახული თანხები არის არადისკონტირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები. ასეთი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხისგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის თანხის ანგარიშგება ემყარება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს. უცხოური ვალუტის გადახდები იცვლება ადგილზე გაცვლითი კურსის გამოყენებით საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

შპს სიემიქს სოლუშენს-ის 2024 წლის ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია ასს 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

- (ა) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ,ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- (ბ) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- (გ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- (დ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- (ე) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- (ვ) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდებს.
- (ზ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

ქვემოთ ცხრილებში მოცემულია ნაშთები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან:

ოპერაციები:

შემოსავალი 2024		საოპერაციო ხარჯები 2024
შესაბ. მუხლის მთლიანი თანხა	2 253 931 ლარი	-

შემოსავალი 2023		საოპერაციო ხარჯები 2023
სხვა დაკავშირებული მხარე	12 946 802	4 760 892
შესაბ. მუხლის მთლიანი თანხა	12 946 802	4 760 892

		31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფინანსური ანგარიშგების მუხლი	ურთიერთობა	ნაშთი დაკავშ. მხარეებთან	ნაშთი დაკავშ. მხარეებთან
	საერთო	-	286 956
	დამფუძნებელი		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები/გადხდილი ავანსი	საერთო	1 410 029	7 457 027
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	დამფუძნებელი		

დოკუმენტის დასასრული



შპს სიემიქს სოლუშენს-ის
მმართველობითი ანგარიშგება

და

2024 წლის საქმიანობის მიმოხილვა

თან ერთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება



✓ საქმიანობის მიმოხილვა

შპს „სიემიქს სოლუშენს“-ი ქართულ ბაზარზე ოპერირებს 2016 წლიდან. კომპანია წარმატებით მოღვაწეობს თავის სფეროში და აფართოებს საქმიანობას, რაც პირდაპირპროპორციულად აისახება დასაქმებულ პირთა რაოდენობის ზრდაზე.

კომპანიამ 2024 წლის განმავლობაში განახორციელა ინვესტირება TEGETA MOTORS LLC, SILK REAL ESTATE LLC-ის ობლიგაციებში როგორც ევროში, ისე ქართულ ლარში.

კომპანიის დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელია **კრისტოფ ებნერი, P 5976478, U 4456464 /ავსტრია/**.

შპს სიემიქს სოლუშენს ემსახურება გერმანულ კომპანიას CMX SOLUTIONS GMBH -ს, ასევე 2024 წელს კომპანიამ გააფორმა კონტრაქტი ახალ კლიენტთან - Akom International K.S LLC-სთან. თუ 2023 წელს კომპანია მომსახურებას ყიდულობდა სომხური კომპანია CMX SOLUTIONS YEREVAN-საგან, 2024 წელს კლიენტების სრულ მომსახურებას მხოლოდ საკუთარი კადრებით ახორციელებს. ერევნის ოფისთან თანამშრომლობა შეწყდა 2023 წლის ბოლოს და კომპანიამ დავალიანება სრულად დაფარა 2024 წელს. კომპანიის საქმიანობაა ქოლ ცენტრის მომსახურება.

CMX SOLUTIONS GMBH (გერმანია) ხელშეკრულებებს აფორმებს არარეზიდენტ კომპანიებთან მომსახურების მიწოდებაზე, ხოლო ამ მომსახურების მისაწოდებლად თანამშრომლობს ჩვენთან, შპს სიემიქს სოლუშენს- თან.

2024 წელს ჩვენი ოპერატორები წარმატებით მოემსახურნენ ისეთი კომპანიების მომხმარებლებს, როგორიცაა :

- Mytoys
- Hermes
- HSE
- Zalando
- Walz
- Medion
- 3 pagen

✓ მომსახურების ცენტრები

ჩვენი მთავარი ოფისი მდებარეობს ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი, 71, საოფისე ფართი 2, სართული 1, ბლოკი III. კომპანიას მოქნილი სამუშაო პირობები აქვს, ოპერატორებს შესაძლებლობა აქვთ ზარებს მოემსახურონ როგორც ჩვენი ოფისიდან, ისე ოფისის გარედან დისტანციურად.



კომპანიამ 2023 წლიდან გახსნა ახალი ოფისი, იმავე ლოკაციაზე, რადგან მოსალოდნელია დამკვეთის მიერ შეკვეთების გაზრდა და შესაბამისად ახალი ოპერატორების მომზადება დღის წესრიგში აქტიურად დადგა. შესაბამისად კომპანია 2024 წელს ორი ოფისის საშუალებით ახდენს ოპერირებას.

ჩვენი ოპერატორების ძირითად მიზანს მომხმარებელთათვის მომსახურების მიწოდების გამარტივება და ხარისხი წარმოადგენს. მომსახურების დელეგირების სწორი სისტემა მნიშვნელოვნად ამცირებს მომხმარებლების დროს და ამ პროცესში ჩართული თანამშრომლები მუდმივად ხელმძღვანელობენ მომსახურების საერთაშორისო აღიარებული სტანდარტით. ასევე ვახდენთ მომსახურების პროცესში ჩართული პოზიციების საქმიანობის პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებიდან გამომდინარე თანამშრომელთა წახალისებას.

ჩვენი ოპერატორების მიერ მიწოდებული მომსახურება ასევე ფასდება ინფორმაციის მიმღები მხარეების მიერ, რის მიხედვითაც ხდება თანამშრომელთა შეფასება და შესაბამისი წახალისება.

✓ სამომავლო გეგმები

კომპანიის მიზანია ყოველწლიურად გაზარდოს ბაზრის წილი და აქტიურად გაიმყაროს პოზიცია მის სფეროში. იგი აქტიურად მონაწილეობს სამომავლო სტრატეგიულ მიმართულებებზე. 2024 წლიდან კომპანია გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ემსახურება AKOM International-ის ზარებს, რაც ხელს უწყობს ჩვენი პოზიციების უფრო გამყარებას ბაზარზე.

ოპერატორები პერიოდულად გადიან სწავლებას, გადამზადებას და მორგებას მომხმარებელთა ინტერესებზე, ვინაიდან კომპანიის შემოსავალი სწორედ ამ ფაქტორებიდან გამომდინარეობს.

კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, კადრების დენადობა მაღალია, თუმცა აქტიურად ხდება ახალი კადრების მოზილიზება. კომპანია მყარად ინარჩუნებს დაქირავებულთა რაოდენობას და პროექტების სიმრავლიდან გამომდინარე მოსალოდნელია დასაქმებულთა რაოდენობის გაზრდაც.

✓ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა

შპს „სიემიქს სოლუმენს“-ი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) საკითხს და განიხილავს მას როგორც გრძელვადიან პროგრამას და საქმიანობის განუყოფელ ნაწილს.

✓ კომპანიის მენეჯმენტი მუდმივად და წარმატებით აწვითარებს CSR სტრატეგიას, რაც გამოიხატება თანამშრომელთა სამუშაო გარემო-პირობების გაუმჯობესებასა და მათ ჯანმრთელობაზე ან/და დასვენებაზე ზრუნვით. განახლებულია საოფისე და კომპიუტერული ტექნიკა, ავეჯი, თანამშრომლები ჩართული არიან სადაზღვევო პროგრამაში კორპორატიული პირობების გათვალისწინებით.

✓ კომპანია მნიშვნელოვან დღესასწაულებზე საკუთარ თანამშრომლებს სთავაზობს გარკვეულ წამახალისებელ/სამოტივაციო სიურპრიზებს, რაც რა თქმა უნდა დადებითად აისახება საბოლოოდ კომპანიის გრძელვადიან მიზნებზე.

✓ შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის სტანდარტების დასაცავად გატარებული ღონისძიებები

✓ კომპანიაში შექმნილია ჯგუფური/ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, რომელიც აუცილებელია შრომის უსაფრთხო პირობების შესაქმნელად, რაც შესაბამისი რეგულაციით მოითხოვება. შრომის უსაფრთხოების კონტროლისთვის კომპანია იყენებს დამატებით მომსახურების მიმწოდებელ კომპანიას, რომელიც პერიოდულად ამოწმებს კომპანიაში შრომის უსაფრთხოების დონესა და მის შესაბამისობას აღიარებულ სტანდარტებთან. კომპანიას აქვს მუდმივი მზაობა საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს შრომის პირობების გაუმჯობესება.

- ✓ კომპანიის მენეჯმენტი სრულად ჩართულია შრომის უსაფრთხოების სისტემების განვითარებასა და ოპერირებაზე.



- ✓ კომპანიის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის შემოსავალმა მისი ძირითადი საქმიანობიდან, 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის შეადგინა 7,315,000 ლარი. თუ ამ მონაცემს შევადარებთ 2023 წლის იგივე მონაცემს - 12,946,802 ლარი - ერთი შეხედვით შემოსავლის შემცირების მაჩვენებელია, რაც გამოწვეულია იმით, რომ კომპანიამ შეცვალა კლიენტებთან ურთიერთობის სტრატეგია და მოგების მარჟის კოეფიციენტი, რაც სრულად შეესაბამება საერთაშორისო კონტროლირებადი ოპერაციის ფასწარმოქმნის პრინციპებს. კომპანია სტაბილურად აგრძელებს ოპერირებას და ამ ეტაპზე არ არსებობს რაიმე წინაპირობა იმისა, რომ მის საქმიანობას გრძელვადიან პერსპექტივაში რაიმე საფრთხე ემუქრებოდეს. აქვე გვინდა ავღნიშნოთ, რომ კომპანიას საერთაშორისო კონტროლირებადი ოპერაციების ფასწარმოქმნის სტრატეგიის ანალიზს ატარებს საერთაშორისო აუდიტორული კომპანია ერნსტ ენდ იანგის წარმომადგენლობა საქართველოში. აღნიშნულ ანალიზს კომპანია ყოველწლიურად წარუდგენს ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ სსიპ შემოსავლების სამსახურს.

კომპანია დამკვეთს მომსახურების ინვოისს უფიქსირებს EURO ვალუტაში. ქვემოთ მოყვანილია მაჩვენებლები რომელიც ასახავს 2024 და 2023 წლების შემოსავლების დინამიკას ევროსა და ექვივალენტით ლარში.

შემოსავლის ცვლილების დინამიკა 2024-2023 წლები

წელი	შემოსავალი EURO	შემოსავალი GEL
2024	2 479 027	7 315 000
2023	4 520 854	12 946 802

პატივისცემით,

დირექტორის მინდობილი პირი

თამარ წვიმიტიძე

✓ კომპანიის მენეჯმენტი სრულად ჩართულია შრომის უსაფრთხოების სისტემების განვითარებასა და ოპერირებაზე.



✓ კომპანიის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის შემოსავალმა მისი ძირითადი საქმიანობიდან, 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის შეადგინა 7,315,000 ლარი. თუ ამ მონაცემს შევადარებთ 2023 წლის იგივე მონაცემს - 12,946,802 ლარი - ერთი შეხედვით შემოსავლის შემცირების მაჩვენებელია, რაც გამოწვეულია იმით, რომ კომპანიამ შეცვალა კლიენტებთან ურთიერთობის სტრატეგია და მოგების მარჟის კოეფიციენტი, რაც სრულად შეესაბამება საერთაშორისო კონტროლირებადი ოპერაციის ფასწარმოქმნის პრინციპებს. კომპანია სტაბილურად აგრძელებს ოპერირებას და ამ ეტაპზე არ არსებობს რაიმე წინაპირობა იმისა, რომ მის საქმიანობას გრძელვადიან პერსპექტივაში რაიმე საფრთხე ემუქრებოდეს. აქვე გვინდა ავღნიშნოთ, რომ კომპანიას საერთაშორისო კონტროლირებადი ოპერაციების ფასწარმოქმნის სტრატეგიის ანალიზს ატარებს საერთაშორისო აუდიტორული კომპანია ერნსტ ენდ იანგის წარმომადგენლობა საქართველოში. აღნიშნულ ანალიზს კომპანია ყოველწლიურად წარუდგენს ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ სსიპ შემოსავლების სამსახურს.

კომპანია დამკვეთს მომსახურების ინვოისს უფიქსირებს EURO ვალუტაში. ქვემოთ მოყვანილია მაჩვენებლები რომელიც ასახავს 2024 და 2023 წლების შემოსავლების დინამიკას ევროსა და ექვივალენტით ლარში.

შემოსავლის ცვლილების დინამიკა 2024-2023 წლები

წელი	შემოსავალი EURO	შემოსავალი GEL
2024	2 479 027	7 315 000
2023	4 520 854	12 946 802

პატივისცემით,

დირექტორის მინდობილი პირი

თამარ წვიმიტიძე

თამარ წვიმიტიძე